ხარისხის კვლევების პოლიტიკა

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2023 წლის 01 დეკემბრის სხდომის ოქმით)

სარჩევი

შესავალი.....3

I. სამუშაო პროცესის დაგეგმვა.....3

II. კვლევის ფაზები.....4

III. კვლევის მეთოდები.....4

IV. კვლევის განხორციელების სტრატეგია.....5

V. კვლევების აღწერა.....8

დასკვნა.....13

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია შპს ალტე უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) არსებული ხარისხის კვლევების ჩატარების პრინციპები. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და ჯანსაღი გარემოს შექმნა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია, კურსდამთავრებულთათვის მათ განათლებასთან თანხვედრაში არსებული დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზება.

უნივერსიტეტში შეიქმნა ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების მექანიზმები, რომელთაგან ერთერთია ხარისხის კვლევები სწავლება - სწავლის, კვლევის, საზოგადოებაში ჩართულობის პროცესების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გულისხმობს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას, ასევე ინსტიტუციურ ეფექტიანობას. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან და მთავარ როლს ასრულებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.

I. სამუშაო პროცესის დაგეგმვა

უნივერსიტეტში ხარისხის კვლევების განხორციელება ოთხი მნიშვნელოვანი ეტაპისგან შედგება: დაგეგმვა - განხორციელება - შეფასება - განვითარება (PDCA) (*იხ. ფიგურა 1).*

ფიგურა 1



PDCA ციკლი არის ძირითადი ჩარჩო განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ციკლი არის უწყვეტი პროცესი, რომელიც იძლევა როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე დაგეგმილი ქმედებების განხორციელების საშუალებას.

II. კვლევის ფაზები

პროცესების შესასწავლად და კვლევის ჩასატარებლად, შემდეგი ფაზებია გასავლელი *(<u>იხ. ცხრილი 1</u>).*

ცხრილი 1

კვლევის დაგეგმვა

კვლევის დიზაინის და კვლევის კითხვარის შემუშავება
რაოდენობრივი კვლევა (სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქრუტირებული კითხვარი)
თვისებრივი კვლევა (ფოკუს ჯგუფების / ჩაღრმავებული ინტერვიუები)
კვლევის შედეგებზე ანგარიშის მომზადება
შედეგების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარება
გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

III. კვლევის მეთოდები

ხარისხის კვლევების განხორციელებისას გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს ივსება ნახევრად

სტრუქტურირებული ან სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ არის შემუშავებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის შევსებისას მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კითხვები, დებულებები ან პუნქტები სრულიად მკაფიოდაა ასახული, რესპონდენტს აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს პასუხი ან კომენტარი გააკეთოს ისე, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ. კითხვარი სტრუქტურირებულია, რომელიც მოიცავს მხოლოდ დახურულ შეკითხვებს. დახურული შეკითხვების შემთხვევაში, მოცემულია პასუხის რამდენიმე ვარიანტი და რესპონდენტი პასუხს ირჩევს მხოლოდ არსებული ვარიანტებიდან. სტრუქტურირებული კითხვარის შემთხვევაშიც რესპოდენტს შესაძლებლობა აქვს თავისუფალ ველში დააფიქსიროს დამატებითი მოსაზრება.

თვისებრივი კვლევის დროს გამოიყენება ფოკუს ჯგუფის მეთოდი, რაც გულისხმობს კვლევაში ჩართულ მონაწილეებთან გამოსაკვლევი თემის დეტალურად შესწავლას. მონაწილეები ღიად აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას საკვლევ თემაზე. ფოკუს ჯგუფის ჩატარება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხების სიღრმისეული შესწავლის საჭიროება დგება.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე კეთდება ანალიზი, აქტუალური საკითხების მიხედვით შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება. კვლევის ანგარიშის მომზადების პერიოდია კვლევის დასრულებიდან ერთი თვე.

IV. კვლევის განხორციელების სტრატეგია

ხარისხის კვლევის სტრატეგიული ჩარჩო აგებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამშრომელთა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა კმაყოფილების კვლევებზე. კვლევის დასრულების შემდეგ ხდება მონაწილეთა ინფორმირება მიღებული შედეგების შესახებ. ცხრილში მოცემულია საკითხები, რომელზეც შემუშავებულია კვლევის კითხვარები *(იხ. ცხრილი 2).*

ცხრილი 2

კვლევის სამიზნე ჯგუფი	**კვლევის თემატიკა**	**კვლევის ჩატარების პერიოდი**
პირველკურსელი სტუდენტები	კმაყოფილების შეფასების კითხვარი უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს არსებულ სერვისებთან დაკავშირებით (დანართი 1)	პირველკურსელთა მიღების დასრულების შემდეგ
სტუდენტები	ზოგადი კმაყოფილების შეფასების კითხვარი (დანართი 2)	წელიწადში ერთხელ
	მობილობით გადმოსული სტუდენტის შეფასების კითხვარი (დანართი 3)	მობილობის დასრულების შემდეგ
	მობილობით გადასული სტუდენტის შეფასების კითხვარი (დანართი 4)	
	საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების კითხვარი (დანართი 5)	
მე-4 კურსის სტუდენტები	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი (დანართი 6)	მე-4 კურსის II სემესტრი
მედიცინის სკოლის სტუდენტები	კლინიკური გამოცდის შეფასების კითხვარი (OSCE) (დანართი 7)	შესაბამის სემესტრში
	პრაქტიკული გამოცდის შეფასების კითხვარი (OSPE) (დანართი 8)	
	კლინიკაში განხორციელებული სასწავლო პრაქტიკის შეფასების კითხვარი (დანართი 9)	
გამომცდელი	კლინიკური გამოცდის შეფასების კითხვარი (OSCE) (დანართი 10)	შესაბამის სემესტრში
	პრაქტიკული გამოცდის შეფასების კითხვარი (OSPE) (დანართი 11)	
სტუდენტები	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი (დანართი 12)	წელიწადში ერთხელ
	შუალედური გამოცდის შეფასების კითხვარი (დანართი 13)	შუალედური გამოცდის დასრულების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში
	დასკვნითი გამოცდის, სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი (დანართი 14)	გაზაფხული - შემოდგომის სემესტრის დასრულების შემდეგ

კვლევის სამიზნე ჯგუფი	**კვლევის თემატიკა**	**კვლევის ჩატარების პერიოდი**
	პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი (დანართი 15)	საჭიროების შემთხვევაში
სსსმ სტუდენტები	კვლევა პირადი საჭიროებების შესახებ (დანართი 16)	წელიწადში ერთხელ ან/და საჭიროების შემთხვევაში
აკადემიური და მოწვეული პერსონალი	ზოგადი კმაყოფილების კვლევა (დანართი 17)	წელიწადში ერთხელ
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები	ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასების და ზოგადი კმაყოფილების შეფასების კითხვარი (დანართი 18)	წელიწადში ერთხელ
კურსდამთავრებულები	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი (დანართი 19)	სწავლის დასრულების შემდეგ
დამსაქმებლები	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი (დანართი 20)	
ადმინისტრაციული პერსონალი/აკადემიური პერსონალი	საერთაშორისო აკადემიური მობილობით პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი (დანართი 21)	მობილობის დასრულების შემდეგ
ადმინისტრაციული პერსონალი/აკადემიური პერსონალი	დისტანციური სასწავლო პროცესის კვლევის კითხვარი (დანართი 22)	საჭიროების შემთხვევაში
სტუდენტები	დისტანციური სასწავლო პროცესის კვლევის კითხვარი (დანართი 23)	
ადმინისტრაციული პერსონალი/აკადემიური პერსონალი/სტუდენტები	ინტერნაციონალიზაციის კვლევის კითხვარი (დანართი 24)	3 წელიწადში ერთხელ
სტუდენტები	ნაშრომის ხელმძღვანელის კვლევის კითხვარი (დანართი 25)	ნაშრომის საბოლოო შეფასების მინიჭების შემდეგ
სტუდენტები/ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (დანართი 26)	საჭიროების შემთხვევაში
სტუდენტები/ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის კაფეტერია (დანართი 27)	
კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის ფორმა (დანართი 28)		
კვლევის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა (დანართი 29)		

V. კვლევების აღწერა

პირველკურსელ სტუდენტთა კვლევა

პირველკურსელ სტუდენტთა კვლევა ყოველწლიურია და კვლევის მთავარი კითხვაა რატომ აირჩიეს ალტე უნივერსიტეტი და რა მოლოდინები აქვთ მათ. ასევე, ხდება კვლევა უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს მიღებულ მომსახურებაზე და ხარისხზე, რამდენად კმაყოფილები არიან ისინი *(იხ. დანართი 1)*.

სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა

სტუდენტთა კვლევა ზოგად საკითხებთან დაკავშირებით ტარდება წელიწადში ერთხელ. აღნიშნული კვლევა ასახავს სტუდენტთა გამოხმაურებას უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესახებ: სასწავლო პროცესი, საგამოცდო პროცედურები, უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, კაფეტერია და სხვა *(იხ. დანართი 2)*.

მობილობით გადმოსულ სტუდენტთა კვლევა

კვლევის მიზანია, მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა, მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. რა ფაქტორებმა განსაზღვრა მათი გადმოსვლა ალტე უნივერსიტეტში და ა.შ. *(იხ. დანართი 3)*.

მობილობით გადასულ სტუდენტთა კვლევა

კვლევა ხორციელდება მობილობით მოსარგებლე სტუდენტებთან მობილობის პროცედურის დასრულების შემდეგ. კვლევის მიზანია იმ ფაქტორების შესწავლა თუ რამ განსაზღვრა მათი უნივერსიტეტიდან გადასვლა *(იხ. დანართი 4)*.

საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

ამ შემთხვევაში ხდება საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტების გამოკითხვა, რომლებმაც გარკვეული პერიოდი გაატარეს საზღვარგარეთ უნივერსიტეტში *(იხ. დანართი 5)*.

მეოთხე კურსის სტუდენტთა კვლევა

საგანმანათლებლო პროგრამას აფასებენ მე-4 კურსის სტუდენტები. კვლევა ეხება მათ კმაყოფილებას უნივერსიტეტში მიღებულ განათლებასთან დაკავშირებით, რამდენად

გამართლდა მათი მოლოდინები, აფასებენ უნივერსიტეტში სწავლების მეთოდებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს *(იხ. დანართი 6)*.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის კვლევა (OSCE)

სტუდენტები აფასებენ ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას (OSCE) მატერიალური და ადამიანური რესურსების გასაუმჯობესებლად. კითხვარი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საგამოცდო დროის ლოგიკურ განსაზღვრა, მატერიალური რესურსის რაოდენობა და სხვა *(იხ. დანართი 7)*.

პრაქტიკული გამოცდის კვლევა (OSPE)

სტუდენტები აფასებენ ობიექტურად სტრუქტურირებულ პრაქტიკულ გამოცდას (OSPE) მატერიალური და ადამიანური რესურსების გასაუმჯობესებლად. კითხვარი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საგამოცდო დროის ლოგიკური განსაზღვრა, მატერიალური რესურსის რაოდენობა და სხვა *(იხ. დანართი 8)*.

კლინიკაში განხორციელებული სასწავლო პრაქტიკის კვლევა

კლინიკაში არსებული მატერიალურ-მექტნიკური რესურსის, ხელმძღვანელის მხრიდან დამოკიდებულების, კომუნიკაციისა და ჩართულობის შეფასება სტუდენტის მიერ. ასევე, რამდენად კარგად არის პრაქტიკა დაგეგმილი კალენდარული თვალსაზრისით *(იხ. დანართი 9)*.

კლინიკური გამოცდის კვლევა (OSCE)

გამომცდელის მიერ ფასდება კლინიკური გამოცდა (OSCE) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის პროცესის და მატერიალური რესურსების გაუმჯობესებისათვის. კითხვარი მოიცავს შემდეგ საკითხებს: გამოცდის ორგანიზებულობა, ინფორმაცია საგამოცდო მასალების შესახებ და სხვა. *(იხ. დანართი 10)*.

პრაქტიკული გამოცდის კვლევა (OSPE)

გამომცდელის მიერ ფასდება ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) პროცესის და მატერიალური რესურსების გაუმჯობესებისათვის. კითხვარი მოიცავს

შემდეგ საკითხებს: საგამოცდო დრო, მატერიალური რესურსის რაოდენობა და სხვა. *(იხ. დანართი 11)*.

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევა

სტუდენტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარს, მიღებულ ცოდნას, პროგრამის ფარგლებში რა მეთოდები იქნა გამოყენებული სწავლება - სწავლის პროცესში, რამდენად მიღწეულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სხვა *(იხ. დანართი 12)*.

შუალედური გამოცდის კვლევა

სტუდენტები აფასებენ შუალედური გამოცდის განრიგს, საგამოცდო დროის ხანგრძლივობას/ადეკვატურობას და სხვა საკვანძო საკითხებს, რომლის საშუალებით დგინდება მათი ზოგადი კმაყოფილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კვლევა ტარდება შუალედური გამოცდის დასრულებიდან მომდევნო თვის განმავლობაში *(დანართი 13)*.

დასკვნითი გამოცდის კვლევა

სტუდენტები აფასებენ დასკვნითი გამოცდის მიმდინარე პროცესს გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში. კვლევა ეხება საგამოცდო დროის ხანგრძლივობას, გამოცდის დაგეგმვას, ლექტორის შეფასება და სხვა *(დანართი 14)*.

პრაქტიკის კომპონენტის კვლევა

სტუდენტები აფასებენ პრაქტიკული საქმიანობის/სტაჟირების დროს მიღებულ გამოდილებას. ასევე, ფასდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, დამსაქმებლის დამოკიდებულება და სხვა *(დანართი 15)*.

სსსმ სტუდენტთა კვლევა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების (სსსმპ) კვლევა ეხება მათი პირადი საჭიროებების კვლევას. არის თუ არა სალექციო აუდიტორიები მოსახერხებელი და ადაპტირებული. ზოგადად, რამდენად ადეკვატური და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაშია უნივერსიტეტში არსებული გარემო და სხვა *(დანართი 16)*.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა ტარდება ყოველწლიურად, შესაფასებლად თუ როგორია მათი კმაყოფილების დონე უნივერსიტეტში არსებულ ზოგად საკითხებზე: მატერიალურ - ტექნიკური ბაზით კმაყოფილება, კომუნიკაციით კმაყოფილება, პიროვნული განვითარების ხელშეწყობა და სხვა (დანართი 17).

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა

აღნიშნული კვლევის მიზანია ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და მათი ზოგადი კმაყოფილების დადგენა სხვადასხვა საკითხზე. კვლევა ტარდება ყოველწლიურად *(დანართი 18)*.

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევა

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია, უნივერსიტეტში მათ მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო გეგმისა და სწავლის შედეგების შესწავლა. მათი მხრიდან ხდება ინფორმაციის გაზიარება აკადემიური და სოციალური გამოცდილების შესახებ. აღნიშნული კვლევა ტარდება სწავლის დასრულებიდან 2 წლის შემდეგ *(დანართი 19)*.

დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კვლევა

დამსაქმებელთათვის მთავარი საკვანძო შეკითხვებია შეესაბამება თუ არა კურსდამთავრებულების კომპეტენცია მათ ორგანიზაციაში არსებულ მოთხოვნებს, შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და სხვა *(დანართი 20)*.

საერთაშორისო აკადემიური მობილობით პერსონალის კმაყოფილების კვლევა

საერთაშორისო მობილობის განხორციელების შემდეგ, ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება ორგანიზაციული კმაყოფილებისა და სხვა საკითხების შესახებ *(დანართი 21)*.

დისტანციური სასწავლო პროცესის კვლევა (უნივერსიტეტის პერსონალი/აკადემიური პერსონალი)

უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ფასდება დისტანციური სასწავლო პროცესი. რამდენად მათთვის მისაღებია ან პირიქით და რა საჭიროებებს ხედავენ დისტანციურად მუშაობის დროს *(დანართი 22)*.

დისტანციური სასწავლო პროცესის კვლევა (უნივერსიტეტის სტუდენტები)

უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ფასდება დისტანციური სასწავლო პროცესი. რამდენად მათთვის მისაღებია ან პირიქით და რა საჭიროებებს ხედავენ დისტანციურად სწავლის დროს *(დანართი 23)*.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის კვლევა

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულ პირთა გამოკითხვას. კვლევის განხორციელების სიხშირე განსაზღვრულია სამ წელიწადში ერთხელ *(დანართი 24)*.

ნაშრომის ხელმძღვანელის კვლევა

აღნიშნული კვლევა გულისხმობს, ხელმძღვანელის შეფასებას სტუდენტების მიერ. რამდენად დროული იყო მიღებული უკუკავშირი ხელმძღვანელისგან, იღებდნენ თუ არა საჭირო ინფორმაციას, ჰქონდათ თუ არა სათანადო პირობები კვლევისთვის და ა.შ. *(დანართი 25)*.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის კვლევა გულისხმობს სტუდენტთა და უნივერსიტეტის პერსონალის გამოკითხვას ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მომსახურების, ლიტერატურის ხელმისაწვდომობასა და სხვა საკითხებზე *(დანართი 26)*.

უნივერსიტეტის კაფეტერია

კაფეტერიის კვლევა ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მოიცავს შემდეგ საკითხებს: პერსონალის მიერ მიწოდებული მომსახურება, ჰიგიენური ნორმების დაცულობა, საკვების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და სხვა საკითხები *(დანართი 27)*.

კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის ფორმა

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აანალიზებს გამოვლენილ ნაკლოვანებებს შემუშავებული ფორმის საშუალებით. აღნიშნული ფორმა არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა საშუალებას შეჯამდეს კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხი/საკითხები. აღნიშნულ ფორმაში წარმოდგენილია მიღებული ნაკლოვანების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი პირი/დეპარტამენტი, შესრულების ვადები *(დანართი 28)*.

კვლევის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა

გაცემული რეკომენდაციების შედეგად, პასუხისმგებელი პირების მიერ შესრულებული და/ან შესასრულებელი საქმიანობის ანალიზი. რაც გულისხმობს, რამდენად იქნა გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რა ვადებში აქვთ დაგეგმილი არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა *(დანართი 29)*.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზსა და ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ზემოაღნიშნული კვლევების განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია და შემუშავებული რეკომენდაციები მიაწოდოს შესაბამის დეპარტამენტებს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს არსებული რესურსების, სერვისების და პროცესების გაუმჯობესება. კვლევების ჩატარების ხანგრძლივობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია და დამოკიდებულია კვლევის თემაზე და სამიზნე ჯგუფის რაოდენობაზე.